ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #39

ქალაქი ბათუმი **14 დეკემბერი 2017 წელი**

ერთის მხრივ შპს „სტადიონი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის სულხან ხალვაშის სახით და მეორეს მხრივ შპს „ანაგი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გოგოლიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შპს „ანაგი“-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NAT170012361; კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – შპს ,,სტადიონი;

1.4. „მიმწოდებელი“ – შპს „ანაგი“;

1.5. „ზედამხედველი“ - პირ(ებ)ი, რომელიც ახორციელებს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოს შესრულების ტექნიკურ ზედამხედველობას;

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.7. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.8. „ხარჯთაღრიცხვა“ - მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „NAT170012361_#1 - ანაგი-დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა“, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.9. „საპროექტო დოკუმენტაცია“ (შემდგომში „პროექტი“) - ელექტრონული ტენდერის შესაბამის ველში ატვირთული „საპროექტო დოკუმენტაცია“;

1.10. „ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „NAT170012361_#3.1. - დანართი 3 - ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ“, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.11. „ფინანსური გეგმა-გრაფიკი“ (შემდგომში „გეგმა-გრაფიკი“) - მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოსადგენი „ფინანსური გეგმა-გრაფიკი“, რომელიც შემდგომში წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.12. „ტექნიკური დავალება“ - მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „NAT170012361_#2.1. - დანართი 1 - ტექნიკური დავალება“, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ 05.27.05.027) 20000 მაყურებელზე გათვლილი UEFA-ს IV კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოები (CPV 45200000) (შემდგომში „სამუშაო“) წინამდებარე ხელშეკრულებით, პროექტით, ხარჯთაღრიცხვით, ტექნიკური დავალებით და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ხოლო, შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს სამუშაო და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ის გარეშე შეადგენს 99 448 408,56 (ოთხმოცდაცხრამეტი მილიონ ოთხასოთხმოცდარვა ათას ოთხასრვა მთელი ორმოცდათექვსმეტი მეასედი) ლარს, ხოლო დღგ-ის ჩათვლით 117 349 122,10 (ასჩვიდმეტი მილიონ სამასორმოცდაცხრა ათას ასოცდაორი მთელი ათი მეასედი) ლარს;

3.2. ცალკეული სამუშაოების დასახელება და ღირებულება განსაზღვრულია ხარჯთაღრიცხვით;

3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს, რომელთა გადახდაზე პასუხისგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე;

4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად, ხელშეკრულების მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით სამუშაოების მიღებიდან, გადახდის სერთიფიკატის და საგასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4.3. გადახდის სერთიფიკატი დამოწმებული უნდა იყოს ზედამხედველის მიერ;

4.4. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით:

4.4.1. წინასწარ გადასახდელი თანხის ნაწილს - ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ი, შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტიის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4.4.2. წინასწარ გადასახდელი თანხის მეორე ნაწილს - ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ი, მიმწოდებლისთვის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს:

4.4.2.1. წერილობით თხოვნას, რომელშიც დეტალურად იქნება დასაბუთებული წინასწარ გადასახდელი თანხის გამოყენების მიზნობრიობა;

4.4.2.2. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებს, რომ ის არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში და მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა;

4.4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა წინასწარ გადასახდელი თანხის მეორე ნაწილის - ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ი, გადახდის თაობაზე;

4.5. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების 4.4.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინასწარ გადასახდელ თანხასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია;

4.6. ხელშეკრულების 4.4.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინასწარ გადასახდელი თანხის გადახდა მოხდება უპირობო და გამოუხმობი გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4.7. წინასწარ გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების მე-5 პუნქტით სამუშაოების მიღებისათვის განსაზღვრულ დოკუმენტაციაში, გადახდის სერთიფიკატში და საგასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების პროპორციულად, წინასწარ ფაქტიურად გადახდილი თანხის ხელშეკრულების საერთო ღირებულებასთან შეფარდებით მიღებული პროცენტის ოდენობით, იმ პირობით, რომ ჯერ გაიქვითება წინანსწარ გადახდილი თანხის გარანტიით არაუზრუნველყოფილი ნაწილი;

4.8. შემსყიდველი შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 1%-ს დაკავებას. თანხის დაკავება იწარმოებს ხელშეკრულების მე-5 პუნქტით სამუშაოების მიღებისათვის განსაზღვრულ დოკუმენტაციაში,

გადახდის სერთიფიკატში და საგასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები თანხის პროპორციულად 1%-ის ოდენობით. თანხის დაკავების ნაცვლად, შესაძლებელია, რომ მიმწოდებელმა წარმოადგინოს შესაბამისი ოდენობის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია შემსყიდველთან შეთანხმებული ფორმით, რომელიც მოქმედი იქნება სამშენებლო სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

4.9. დაკავებული თანხის გადახდა, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 4.8. ქვეპუნქტის შესაბამისად არ მომხდარა მისი საბანკო გარანტიით ჩანაცვლება, მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, როცა შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი დაამოწმებს, რომ შესრულებულ სამუშაოებში ხარვეზები არ მოიძებნა ან, ასეთების აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ;

4.10. იმ შემთხვევაში, თუ, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, ან უარს განაცხადებს მათ აღმოფხვრაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაფასოს ხარვეზების აღმოფხვრისათვის გასაწევი ხარჯი და აანაზღაუროს ის მიმწოდებელზე ხელშეკრულების 4.8. ქვეპუნქტის საფუძველზე დაკავებული თანხიდან ან აანაზღაუროს ამავე ქვეპუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიიდან;

4.11. ხელშეკრულების 4.10. ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების დადგომის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 4.8. ქვეპუნქტის საფუძველზე არ მომხდარა ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის საბანკო გარანტიით ჩანაცვლება, მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება დაკავებული თანხის ის ნაწილი, რომლითაც შემსყიდველის მიერ ანაზღაურდება შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ხარჯი;

4.12. თუ, შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის აუცილებელი ხარჯის თანხა აღემატება ხელშეკრულების 4.8. ქვეპუნქტის საფუძველზე დაკავებულ თანხას ან ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის თანხას, სხვაობის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;

4.13. თუ, შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურებაზე.

5. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება იწარმოებს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2) წარმოდგენის გზით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას ყოველ ჯერზე არაუგვიანეს სამი კალენდარული თვისა;

5.2. შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა #2) მოცემული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, პროექტთან და ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს ზედამხედველის მიერ;

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოო დასრულება დასტურდება შემსყიდველის, ზედამხედველის და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად დამოწმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით;

5.4. თუ, ზედამხედველმა შესრულებული სამუშაოები შეაფასა წუნით, მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად, არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა ან მიღება-ჩაბარების აქტი შედგება წუნდებული სამუშაოს გამოკლებით;

5.5. წუნდების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში;

5.6. წუნდებული სამუშაოების აღმოფხვრა დასტურდება ზედამხედველის მიერ.

6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. სამუშაოს შესრულების ადგილია ქალაქ ბათუმი, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორია (მიწის ნაკვეთის ს/კ 05.27.05.027);

6.2. ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 34 (ოცდათოთხმეტი) თვე.

7. სამუშაოთა წარმოების წესი და ტექნიკური ზედამხედველობა

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად პროექტით, ხარჯთაღრიცხვით, ტექნიკური დავალებით, ფინანსური გეგმა-გრაფიკით, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული პირობების დაცვით და შემსყიდველის და ზედამხედველის მოთხოვნების შესაბამისად;

7.2. შემსყიდველი ობიექტზე ნიშნავს ზედამხედველს;

7.3. ზედამხედველი ახორციელებს მშენებლობის პროცესის მიმდინარეობის სრულ ზედამხედველობას და ინსპექტირებას, კერძოდ:

7.3.1. შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობების, პროექტთან და ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობის შემოწმება და დადასტურება;

7.3.2. სამუშაოების წარმოების სახელშეკრულებო და გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დაცვის კონტროლი;

7.3.3. სამუშაოების წარმოების პროცესში სამშენებლო ნორმების, ტექნიკური პირობებისა და მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის შესრულების დაცვის კონტროლი;

7.3.4. საინჟინრო, კომუნალური და ტექნოლოგიური სისტემების მონტაჟის ზედამხედველობა და გამოსაყენებელი მასალების პროექტთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დამოწმება;

7.3.5. ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პუნქტის, მათ შორის ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრულ პირობების სათანადო დაცვა;

7.3.6. მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული მშენებლობის ეტაპების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების (ოქმები, აქტები) შედგენაში მონაწილეობა;

7.3.7. სამშენებლო მასალებისა და შესრულების ხარისხის კონტროლი პროექტით, ხარჯთაღრიცხვით და მსგავსი სამუშაოებისათვის დადგენილი სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის დამოწმება;

7.3.8. ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმება, შეფასება და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობის მიღება, რომლებიც დაიფარებიან შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად;

7.3.9. სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევების კონტროლი და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობა;

7.3.10. სამშენებლო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლი;

7.3.11. მიმწოდებლის მიერ მითითებებისა და მიწერილობების, აგრეთვე იმ მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი, რომლებიც მიეკუთვნება სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების, ცალკეული სამუშაოების დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებს;

7.3.12. ობიექტის ექსპლუატაციისათვის მომზადება და შესაბამისი დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

7.3.13. ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მიმწოდებლის სხვა ვალდებულებების შესრულების კონტროლი;

7.4. ზედამხედველს უფლება აქვს:

7.4.1. მოითხოვოს მიმწოდებლისგან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და აუცილებელი სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოება;

7.4.2. არ მიიღოს პროექტის დარღვევით ან გადახვევით წარმოებული სამუშაოები, უარყოს დაუდასტურებელ სამშენებლო სამუშაოებზე გადახდის სერთიფიკატის დადასტურება და მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტის კორექტირება;

7.4.3. აკრძალოს სამშენებლო ობიექტზე უხარისხო სამშენებლო მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და საშენი დეტალების გამოყენება;

7.4.4. გასცეს მითითება და მოითხოვოს უხარისხოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამოსწორება.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.1.1. შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.1.2. გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შეიტანოს ცვლილებები პროექტში და ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილ სამუშაოთა აღწერილობაში. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით;

8.1.3. არ მიიღოს სამუშაო, თუ ის შესრულებულია ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დარღვევით ან მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია შედგენილია ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის დარღვევით;

8.1.4. არ დააკმაყოფილოს ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ხელშეკრულების 4.4.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინასწარ გადასახდელი თანხის თაობაზე;

8.1.5. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ წინასწარ მიღებული თანხის ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმება და მოსთხოვოს მას მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა;

8.1.6. მიმწოდებლის მიერ წინასწარ მიღებული თანხის ხარჯვის არამიზნობრიობის დადგენის შემთხვევაში აამოქმედოს წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის გარანტია და დაიბრუნოს წინასწარ გადახდილი თანხის გამოუქვითავი ნაწილი;

8.1.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან;

8.1.8. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, აამოქმედოს წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის გარანტია და დაიბრუნოს წინასწარ გადახდილი თანხის გამოუქვითავი ნაწილი;

8.1.9. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

8.1.10. ისარგებლოს ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ყველა უფლებით;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

8.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

8.3.2. ისარგებლოს ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ყველა უფლებით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.4.2. შეასრულოს სამუშაოები სათანადო ხარისხითა და იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;

8.4.3. ხელშეკრულების 5.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს შემსყიდველს ხარჯთაღრიცხვის „მშენებლობის ღირებულების ნაკრები ხარჯთაღრიცხვი“-ს მე-4 თავით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების დღგ-ის ჩათვლით თანხის 15%-ი;

8.4.4. გაითვალისწინოს შემსყიდველისა და ზედამხედველის მიერ მითითებული ინსტრუქციები და შენიშვნები;

8.4.5. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს შემსყიდველს სამუშაოს შესრულების 3 (სამი) კალენდარულ თვიან პერიოდებად დაყოფილი ფინანსური გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა იკვეთებოდეს მიმწოდებლის მიერ ყოველ კონკრეტულ 3 (სამი) კალენდარულ თვეში ასათვისებელი თანხის მოცულობები;

8.4.6. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზი და წუნი ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული ჯგუფი;

9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების და მისი დანართების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მიმწოდებელს ხელშეკრულების 6.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.01%-ის ოდენობით;

10.2. ხელშეკრულების 4.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.01%-ის ოდენობით;

10.3. მიმწოდებელს ფინანსური გეგმა-გრაფიკის ყოველი კონკრეტული დარღვევისთვის დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ფინანსური გეგმა-გრაფიკის კონკრეტულ პერიოდში ასათვისებელი თანხის აუთვისებელი ნაწილის 0.01%-ის ოდენობით;

10.4. ფინანსური გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების პერიოდად ითვლება შემსყიდველის, მიმწოდებლის და ზედამხედველის მიერ ერთობლივად შედგენილი აქტი;

10.5. ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების, საწარმოო უსაფრთხოების და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის, მიმწოდებელს ყველა ჯერზე დაეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

10.6. შემსყიდველი დარიცხული პირგასამტეხლოს თანხის დაკავებას ახორციელებს ზედამხედველის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ან, საკუთარი ინიციატივით, მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან;

10.7. იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა აღემატება მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, მიმწოდებელი ვალდებულია პირგასამტეხლოს თანხა ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

10.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმიწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შესრულების და წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის გარანტია

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია - სს „საქართველოს ბანკი"-ს 2017 წლის 13 დეკემბერის ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE41757-17 თანხაზე 1 760 240 (ერთი მილიონ შვიდასსამოცი ათას ორასორმოცი) ლარი, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1,5%-ი, მოქმედი 2021 წლის 01 მარტის ჩათვლით პერიოდში;

11.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა ვისი, ან, რა მიზეზით მოხდა აღნიშნული ვადის გაგრძელება), ვადის

გაგრძელებამდე მიმწოდებელი ვალდებულია გააგრძელოს უპირობო და გამოუხმობი გარანტიის მოქმედება ხელშეკრულების გაგრძელებული ვადის შესაბამისი დროის პერიოდის დაცვით;

11.4. წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია;

11.5. წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადას;

11.6. სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადის გაგრძელების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა ვისი, ან, რა მიზეზით მოხდა აღნიშნული ვადის გაგრძელება), მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გააგრძელოს უპირობო და გამოუხმობი გარანტიის მოქმედება ხელშეკრულების 11.5. ქვეპუნქტით განსაზღვრული დროის პერიოდის დაცვით;

11.7. წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი გარანტია შემსყიდველს უფლებას უნდა აძლევდეს პირველი მოთხოვნისთანავე, გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან დაუყოვნებლივ, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა;

11.8. მიმწოდებლის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თეთრ სიაში რეგისტრაციის შემთხვევაში, წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი გარანტიის ოდენობა ნახევრდება.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

13.1.1. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

13.1.2. თუ ხელშეკრულების 10.1. და 10.3. პუნქტების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ს;

13.1.3. თუ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

13.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის

ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ შეწყვეტამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე;

13.4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14. გარანტია

14.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები და ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ სამშენებლო წესებსა და ნორმებს;

14.2. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები განსაზღვრულია საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციით;

14.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ მიცემულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ისეთი ხარვეზის/წუნის სრული მოცულობით აღმოფხვრა, რომელიც არ არის გამოწვეული ექსპლუატაციის ნორმების დარღვევით, არასათანადო მოპყრობით ან ნორმალური ცვეთით, სრული მოცულობით აანაზღაუროს როგორც შესაბამისი ხარჯები, ასევე, ხარვეზის/წუნის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი;

14.4. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოს დასრულებისათვის ხელშეკრულების 6.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადამდე სულ მცირე 2 (ორი) თვით ადრე, გადასცეს შემსყიდველს ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების, მოწყობილი საინჟინრო ქსელების, დამონტაჟებული დანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი არ იქნება უფლებამოსილი უარი განაცხადოს საგარანტიო მომსახურებაზე ექსპლუატაციის პირობების დაუცველობის მოტივით;

14.5. მიმწოდებლის მიერ 14.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ხარვეზის/წუნის აღმოფხვრისათვის შესაბამისი ზომები და შემდგომ, მიმწოდებელს მოთხოვოს ხარვეზის/წუნის აღმოფხვრისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

15. დაუძლეველი ძალა

15.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით;

15.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

15.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ;

15.4. ხელშეკრულების 15.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

15.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე;

15.6. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულებისან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;

17.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

17.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე;

17.7. უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს;

17.8. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე;

18.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

19. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
შპს „სტადიონი“	**შპს „ანაგი“**
იურიდიული მისამართი – **ქ.ბათუმი, მ.კომახიძის ქუჩა #119**	იურიდიული მისამართი – **ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა #37-39, III სართული**
ფაქტიური მისამართი – **ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის ქუჩა #16/18**	ფაქტიური მისამართი – **ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა #1ა**
ელფოსტა – **info@stadium.ge**	ელფოსტა – **office@anagi.ge**
ბანკის დასახელება – **სს „თიბისი ბანკი“**	ბანკის დასახელება – **სს „საქართველოს ბანკი“**
ბანკის კოდი – **TBCBGE22**	ბანკის კოდი – **BAGAGE22**
ა/ნ – **GE70TB7067836080100003**	ა/ნ – **GE07BG0000000121360100**
საიდენტიფიკაციო კოდი - **445409415**	საიდენტიფიკაციო კოდი - **245416401**

სულხან ხალვაში

ირაკლი გოგოლიშვილი

შპს „სტადიონი“-ს დირექტორი

შპს „ანაგი“-ს დირექტორი

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE41757-17

13 დეკემბერი 2017 წელი

თბილისი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ანაგი (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 245416401
პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N37-39, III სართული
ბენეფიციარი: შპს სტადიონი (შემდგომში „ბენეფიციარი“)
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 445409415
საგარანტიო თანხა: 1,760,240 (ერთი მილიონ შვიდასსამოცი ათას ორასორმოცი) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი: #NAT170012361

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ 05.27.05.027) 20000 მაყურებელზე გათვლილი UEFA-ას IV კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 1,760,240 (ერთი მილიონ შვიდასსამოცი ათას ორასორმოცი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების გარეშე, პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღების საფუძველზე, ხსენებული მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით მოთხოვნისა ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პრინციპალის მხრიდან დარღვეული კონკრეტული პირობები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 01 მარტი 2021 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ანა ქავთარაძე
ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის დირექტორი